საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) 42-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„შენიშვნა: შრომის დაცვის წესების დარღვევისათვის ამ მუხლით განსაზღვრული პასუხისმგებლობა არ ვრცელდება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

7 მარტი 2018 წ.

N2049-IIს